ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კახაბერ წერეთელი – კოლეგიის თავმჯდომარე

ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ც. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.03.2011

საჩივრის რეგისტრაციის № 027/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 2011 წლის 23 თებერვალს ეთიკის კომისია მომართა მოქალაქე ც. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით მამიდამ, ა. ა.-მა 2008 წლის მარტის თვეში, მის გარდაცვალებამდე 6 თვით ადრე გაუფორმა მინდობილობა უძრავი ქონების (სახლის) პრივატიზაციისა და რეგისტრაციისათვის.

1.3 საჩივრის ავტორმა 2008 წლის აპრილის თვეში მიმართა ადვოკატ ლ. ბ.-ს, რომელსაც გადასცა უძრავი ქონების (სახლის) მის ხელთ არსებული საბუთები მოსაწესრიგებლად. ადვოკატმა აიღო ვალდებულება ა. ა.-ის სახელზე განეხორციელებინა უძრავი ქონების, სახლის დარეგისტრირება.

1.4 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების მიხედვით, შემდეგში ადვოკატ ლ. ბ.-ს თანაბარწილად უნდა დაერეგისტრირებინა უძრავი ქონება (სახლი) ნ. ჯ.-ისა და საჩივრის ავტორის სახელზე.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით მან ადვოკატს 700 ლარი გადაუხადა საადვოკატო მომსახურებისათვის. ამასთან, ადვოკატსა და კლიენტს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება წერილობით არ გაუფორმებიათ, მხოლოდ ზეპირი შეთანხმება მოხდა.

1.6 საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მუდმივად ეკონტაქტებოდა ადვოკატს, რომელიც აიმედებდა, რომ ყველა მოქმედებას ასრულებდა და საქმე წარმატებით დასრულდებოდა მის სასარგებლოდ.

1.7 2009 წლის ოქტომბრის თვეში, ერთი წლის შემდეგ, ადვოკატმა დაიბარა კლიენტი. ადვოკატმა კლიენტს საქმის მასალები და გადახდილი თანხა, 700 ლარი უკან დაუბრუნა. ამასთან განუმარტა, რომ საქმე უპერსპექტივო გახლდათ.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან გადაწყვიტა თავად შეესწავლა საკითხი და საჯარო რეესტრიდან გამოითხოვა მასალები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. მასალების გამოთხოვის შედეგად ც. მ.-მ აღმოაჩინა, რომ უძრავი ქონება ნ. ჯ.-ის სახელზე იყო რეგისტრირებული.

1.9 2010 წლის ოქტომბერში, ც. მ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა. აღნიშნული საქმის განხილვისას, მოპასუხე მხარის - ნ. ჯ.-ის ადვოკატს წარმოადგენდა ლ. ბ..

1.10 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მ შეგნებულად გაუშვა საპროცესო ვადები და არ წარადგინა ც. მ.-ის მამიდის მიდობილობა გაცემული თავად ც. მ.-ზე, რითაც შეიქმნა ქონების ც. მ.-ის სახელზე დადგენილი წესით დაურეგისტრირებლობის შესაძლებლობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარის, ნ. ჯ.-ის ინტერესები დაიცვა, რითაც მიაყენა მას მატერიალური და მორალური ზიანი.

1.11 2011 წლის 22 ივლისს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი, რომელმაც მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარს და უპასუხა ეთიკის კომისიის წევრების კითხვებს.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით 2008 წლის 16 აპრილს ადვოკატს გადასცა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება დანარჩენ საბუთებსა და ფულთან ერთად.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატი ლ. ბ. მოქმედებდა ნ. ჯ.-ის ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატთან ჰქონდა დატოვებული მთელი რიგი დოკუმენტები, რაც დაეხმარებოდა ნ. ჯ.-ს საკუთრების უფლების რეგისტრაციაში.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 2011 წლის 1 აპრილის ეთიკის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ლ. ბ. და საპროცესო კოლეგიას წერილობითი ახსნა-განმარტება წარუდგინა.

2.2 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, 2008 წლის დეკემბერში კონსულტაციისათვის მიმართეს ც. მ.-მა და ნ. ჯ.-მ. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულ პირებს სურდათ, ხ.-ს ქ. # 12-ში მდებარე უძრავი ქონების (სახლის) მათ სახელზე თანაბარწილად აღრიცხვა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, „ლ. ჯ., ნ. ჯ.-ის დედა, იყო ჩემი შვილების მასწავლებელი. მე უანგაროდ დავინტერესდი და მოვაგროვე დოკუმენტები: გარდაცვალების მოწმობები, ამოვიღე საჯარო რეესტრიდან საინვენტარიზაციო გეგმა, ცნობა დახასიათება, გავაკეთებინე აზომვითი ნახაზები, ამოვიღე 1985 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება არქივიდან.“

2.4 ადვოკატი აცხადებს, რომ საბუთების შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე უპერსპექტივო იყო. ამასთან, 700 ლარი უკან დაუბრუნა ც. მ.-ს.

2.5 ადვოკატის ახსნა-განმარტებით, სასამართლო პროცესში მას მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო ნ. ჯ.-ის მიერ მასზე გაცემული მინდობილობა სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას წარადგინა.

2.6 ადვოკატმა, ლ. ბ.-მ ეთიკის კომისიას 2011 წლის 4 აპრილს წარმოუდგინა დამატებითი ახსნა-განმარტება.

2.7 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ნ. ჯ.-მ და ც. მ.-მ წარმოუდგინეს ანდერძი, რომლის მიხედვითაც მამიდამ ქონება დაუტოვა ც. მ.-ს. ადვოკატმა მხარეებს აუხსნა, რომ საქმე რთული კატეგორიის გახლდათ და წინასწარ არაფრის თქმა არ შეეძლო. აუცილებელი გახლდათ საჭირო დოკუმენტების შეგროვება.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ მხარეებს მასთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებიათ.

2.9 ადვოკატის განცხადებით, რიგი სამართლებრივი დოკუმენტების მოძიებაში ის დაეხმარა მხარეებს და საქმის სირთულის თაობაზე განმარტებაც მისცა.

2.10 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ ც. მ.-ის მიერ გადახდილი თანხა ნ. ჯ.-სთან ინახებოდა და მას ხელი არ უხლია აღნიშნული თანხისთვის, ვინაიდან არ იცოდა რა პერსპექტივა ჰქონდა საქმეს.

2.11 ადვოკატი განმარტავს, რომ ც. მ.-ს მასთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებია და ადვოკატს საქმესთან დაკავშირებით დაპირება არ მიუცია მისთვის.

2.12 2008 წლის თებერვლის თვეში, ლ. ბ.-მ ნ. ჯ.-ს დაუბრუნა დოკუმენტები და მიუთითა, რომ საჯარო რეესტრში წარედგინა ისინი, ხოლო თანხა დაებრუნებინა ც. მ.-ისთვის. ყოველივე ამის შემდეგ, ადვოკატს ურთიერთობა აღარ ჰქონდა ნ. ჯ.-სთან.

2.13 ადვოკატის განმარტებით, ნ. ჯ.-ისგან შეიტყო, რომ ბებია გარდაცვლოდა, მის გარდაცვალებამდე ც. მ.-ს ა. ა.-თან გაეფორმებინა ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულება, რითაც შვილიშვილს მოუსპო ყოველგვარი უფლება მამა–პაპის ქონებაზე, ანდერძი კი საერთოდ არ გამოაჩინა. ნ. ჯ. სთხოვდა საჩივრის დაწერას, რაზეც მას უარი განუცხადა.

2.14 ადვოკატი განმარტავს, რომ 2010 წლის 22 დეკემბრის პროცესში მას მონაწილეობა არ მიუღია და არც შესაგებელი წარუდგენია.

2.15 2011 წლის 22 ივლისს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ლ. ბ..

2.16 ადვოკატის განმარტებით იგი არც ერთი მხარის წარმომადგენლობას არ ახორციელებდა. ვინაიდან ნ. ჯ. იყო მისი შვილების კლასელი, მან თავის თანამშრომელს მ. ო.-ს სთხოვა საქმისწარმოება და საბუთების შეგროვება.

2.17 ადვოკატი აღნიშნავს, რომ თანხა, რომელიც ც. მ.-მ გადასცა მისცა ნ. ჯ.-ს. იქიდან გამომდინარე, რომ ნ. ჯ. და ც. მ. თანამესაკუთრეებად უნდა დარეგისტრირებულიყვნენ, თანხაც რეგისტრაციის მიზნებს უნდა მოხმარებოდა.

2.18 ადვოკატი შემდგომ აღნიშნავს, რომ თანხა საადვოკატო მომსახურებისთვის გადასცა მ. ო.-ს.

2.19 ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ რაც ნახა, რომ საქმე არაპერსპექტიული იყო, დაახლოებით ორი თვის შემდეგ, თანხა დაუბრუნა ც. მ.-ს.

2.20 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სახლი ეკუთვნოდა ი. გ.-ს, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა ა. ა.-თან და მითუმეტეს ც. მ.-სთან, ხოლო ნ. ჯ.-ს ჰქონდა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შესახლებული იყო აწ გარდაცვლილი ი. გ.-ის ბინაში.

2.21 ადვოკატის განმარტებით, იგი მოქმედებდა ნ. ჯ.-ის ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლო გადაწყვეტილების ამოღების შემდეგ უთხრა ნ. ჯ.-ს თანხა ც. მ.-ისათვის დაებრუნებინა, ხოლო თავად საჯარო რეესტრში მოეხდინა საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

2.22 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ც. მ.-ს მასთან საკუთრების უფლების გადანდობის მოწმობა არ მიუტანია.

2.23 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მასთან, როგორც ადვოკატთან არც ნ. ჯ. მივიდა. მას მხოლოდ კონსულტაცია სურდა ბინის გადაფორმების საკითხთან დაკავშირებით.

ანდერძზე საუბარი არ ყოფილა. იგი უკვე ნ. ჯ.-ის საბუთებს აგროვებდა, როდესაც ნ. ჯ.-მ ჰკითხა თუ როგორ შეეძლოთ ც. მ.-ს დახმარება.

2.24 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ა. ა.-ის გარდაცვალებისას 2008 წელს ც. მ.-ს უკვე ყველაფერი წაღებული ჰქონდა.

2.25 ადვოკატის განცხადებით: ,,ნ. ჯ. როცა ვნახე ვუთხარი ბებიის დასაფლავებაზე წასულიყო და დაებრუნებინა მისთვის ეს საბუთები."

2.26 ადვოკატის განმარტებით, სასამართლო პროცესის შემდეგ, როგორც ადვოკატი ცდილობდა მხარეთა მორიგებას. აქედან გამომდინარე, ც. მ.-ს დაელაპარაკა, რომ ჯ.-ეებს მისი სჯეროდათ და იქნებ სოფლის სახლიდან წილის მიცემის შემდეგ მათაც დაეთმოთ თბილისში მდებარე სახლის გარკვეული წილი.

3 მოწმე ნ. ყ.-ის ახსნა-განმარტება

3.1 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 22 ივნისს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმე ნ. ყ.. მოწმე ნ. ყ.-მ ეთიკის კომისიას წარმოუდგინა მისი პირადობის მოწმობა, რომლის ასლი დაერთო საქმეს.

3.2 მოწმის ახსნა-განმარტებით, ც. მ.-მ მიმართა სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ანდერძის თანახმად სამკვიდროს მიღების ექსთვიანი ვადა გასული იყო.

3.3 მოწმის ახსნა-განმარტებით, ც. მ.-მ განუმარტა ც. მ.-ს, რომ დანარჩენი დოკუმენტები დატოვებული ჰქონდა ადვოკატ ლ. ბ.-თან, რომელსაც უნდა მოერიგებინა ნ. ჯ.-სთან საკუთრების უფლების რეგისტრაციის საქმესთან დაკვშირებით.

3.4 მოწმის ახსნა-განმარტების თანახმად 2009 წლის ზაფხულში, იგი პირადად მივიდა ლ. ბ.-ის ოფისში, სადაც საკუთარი თვალით ნახა ც. მ.-ის დოკუმენტები: საბინაო წიგნი, მინდობილობა გადანდობის უფლებით, შესახლების გადაწყვეტილება, ანდერძი, არა ც. მ.-ს სახელზე არამედ ც. მ-ის მამიდის ქმარზე - შ. ა.-ზე გაცემული.

4 მოწმე შ. ბ.-ის ახსნა-განმარტება

4.1 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 22 ივნისს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმე შ. ბ.. მოწმე შ. ბ.-მ ეთიკის კომისიას წარმოუდგინა მისი პირადობის მოწმობა, რომლის ასლი დაერთო საქმეს.

4.2 მოწმის ახსნა-განმარტებით, მან ც. მ. პირველად ნახა ლ. ბ.-ის ოფისში. მოწმემ განმარტა, რომ ც. მ.-ის გვარმა მიიქცია მისი ყურადღება და გამოელაპრაკა, თუმცა უშუალოდ ადვოკატისა და ც. მ.-ის საუბარს არ დასწრებია.

5 მოწმე ე. მ.-ის ახსნა-განმარტება

5.1 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 22 ივნისს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმე ე. მ.. მოწმე ე. მ.-მ ეთიკის კომისიას წარმოუდგინა მისი პირადობის მოწმობა, რომლის ასლი დაერთო საქმეს.

5.2 მოწმის ახსნა-განმარტებით იგი ც. მ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სასამართლოში საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე.

5.3 მოწმის ახსნა-განმარტებით სასამართლოს ბოლო სხდომაზე გადაწყვეტილების გამოცხადების ეტაპზე გამოცხადდა ადვოკატი ლ. ბ., წარადგინა ნ. ჯ.-ის მიერ გაცემული რწმუნებულება, დაბრძანდა და მოსამართლემ გამოაცხადა გადაწყვეტილება.

5.4 მოწმის ახსნა-განმარტებით, კონსულტაციისთვის, საქმის დეტალებში გასარკვევად მან და ც. მ.-მ მიმართეს ადვოკატ ლ. ბ.-ს. ც. მ.-ის განცხადებით, ლ. ბ. ადრე მონაწილეობდა მის საქმეში და გარკვეული იყო.

5.5 მოწმის ახსნა-განმარტებით ლ. ბ.-სა და ც. მ.-ს შორის სავარაუდოდ არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

6 დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

6.1 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

6.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ს მეექვსე მუხლის მეოთხე ნაწილის დარღვევას.

6.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი ლ. ბ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა ც. მ.-სა და ნ. ჯ.-ს უძრავი ქონების მათ სახელზე აღრიცხვის მიზნით. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ლ. ბ.-მ შეწყვიტა ც. მ.-ის ინტერესების დაცვა. შემდეგ იგი გახდა თავისი ყოფილი კლიენტის ც. მ.-ის პროცესუალური

მოწინააღმდეგის ნ. ჯ.-ის წარმომადგენელი (დავის საგანი – საჯარო რეესტრში ნ. ჯ.-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა).

II სამოტივაციო ნაწილი

7 საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

7.1 საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემობები:

7.1.1 ლ. ბ., როგორც ნ. ჯ.-ის რწმუნებული პირი 2010 წლის 22 დეკემბერს გამოცხადდა სასამართლო პროცესზე გადაწყვეტილების გამოცხადების ეტაპზე, რომელიც შედგა ც. მ.-ის სარჩელის გამო ადმინისტრაციულ –სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, რომლის ძალითაც ნ. ჯ. რეგისტრირებული იყო სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება
2. ც. მ.-ის 2011 წლის 03 მარტის საჩივარი (პ. 1.9)
3. მოწმის ე. მ.-ის ახსნა–განმარტება (პ. 5.3)

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

7.2 ლ. ბ. ც. მ.-ს უწევდა საადვოკატო მომსახურებას უძრავი ქონების ნ. ჯ.-სთან ერთად თანაბარწილად რეგისტრაციის მიზნით, რაც გამოიხატა ც. მ.-ისათვის კონსულტაციის გაწევაში, მისგან მომსახურების თანხის აღებასა და საჭირო დოკუმენტების მოძიებაში.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ლ. ბ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოება ადვოკატმა ლ. ბ.-მ ეთიკის კომისიის 2011 წლის 22 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გახადა სადავოდ.

7.2.1 ადვოკატ ლ. ბ.-ის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოთქმული პოზიციის თანახმად, იგი არ ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას არც ც. მ.-ისა და არც ნ. ჯ.-ისათვის. მისი განმარტებით მას სურდა უბრალოდ ნ. ჯ.-ის დახმარება, როგორც მისი შვილების თანაკლასელისა, რომელმაც შემდეგ გააცნო ც. მ. და სთხოვა მისთვისაც ერჩია სამართლებრივი პრობლემის მოსაგვარებლად. რაც შეეხება ნ. ჯ.-ს, მან დოკუმენტების შეგროვების მიზნით მინდობილობა მისცა ადვოკატ მ. ო.-ს და თავად მხოლოდ დოკუმენტების ნაწილს აგროვებდა. ადვოკატის განმარტებით, თანხა ც. მ.-ს გამოართვა არა საადვოკატო მომსახურებისათვის, არამედ უძრავი ქონების რეგისტრაციის მიზნებისათვის, იგი ნ. ჯ.-სთან ინახებოდა და მას შემდეგ რაც დაადგინა, რომ საქმე უპერსპექტივო იყო, საბუთებთან ერთად დაუბრუნა ც. მ.-ს.

7.2.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს და განხილვის კოლეგიის სხდომაზეც ადასტურებს, რომ უძრავი ქონების პრივატიზებისა და დარეგისტრირებისათვის დასახმარებლად მიმართა ადვოკატ ლ. ბ.-ს, რომლთანაც მივიდა ნ. ჯ.-სთან ერთად, რომ მხარეთა ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზება და რეგისტრაცია განხორციელებულიყო თანაბარწილად - ც. მ.-ის მამიდის ა. ა.-ისა და ნ. ჯ.-ის სახელზე, რომელნიც წარმოადგენდნენ ამ უძრავი ქონების მოსარგებლეებს. ც. მ.-ის განმარტებით, მათ არ დაუდიათ წერილობითი ხელშეკრულება ადვოკატთან, თუმცა ანაზღაურებასა და მომსახურებაზე შეთანხმდნენ. ც. მ. ადვოკატს თანხას ნაწილ–ნაწილ უხდიდა, რამაც საბოლოოდ 700 ლარი შეადგინა. ხოლო ადვოკატმა თანხა, საბუთებთან ერთად, საქმის უპერსპექტივობის მოტივით ერთი წლის შემდეგ - 2009 წლის ოქტომბერში დაუბრუნა.

7.2.3 ეთიკის კომისია, ც. მ.-ისა და ადვოკატ ლ. ბ.-ის ურთიერთობის შეფასებისას, ეყრდნობა მოწმეთა - ნ. ყ.-ის, შ. ბ.-ისა და ე. მ.-ის მიერ 2011 წლის 22 ივლისის სხდომაზე, განხილვის კოლეგიისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებებს. მოწმე ნ. ყ. ახსნა–განმარტებაში აღნიშნავს, რომ როდესაც მას დაუკავშირდა ც. მ. უთხრა, რომ ჰყავდა ადვოკატი, რომელთანაც ჰქონდა საბუთები დატოვებული და უნდოდა მასაც გადაეხედა (სხდომის ოქმი, გვ.9 აბზაცი მე-4), შ. ბ. ადასტურებს, რომ 2008 წლის ზაფხულში ნახა ც. მ. ადვოკატ ლ. ბ.-ის საადვოკატო ოფისში (სხდომის ოქმი, გვ 10, აბზაცი მე-7), ე. მ.-ის ახსნა–განმარტებით, ც. მ.-სა და ლ. ბ.-ს შორის არსებობდა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა (სხდომის ოქმი, გვ.11, აბზაცი მე-9)

7.2.4 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის ახსნა–განმარტებებში და განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციები ურთიერთსაპირისპიროა. თავდაპირველად 2011 წლის 1 აპრილის ახსნა–განმარტებაში ლ. ბ. აღიარებს, რომ 2008 წლის დეკემბერში კონსულტაციისთვის მიმართეს ც. მ.-მ და ნ. ჯ.-მ. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულ პირებს სურდათ, ხ.-ს ქ.# 12–ში მდებარე უძრავი ქონების (სახლის) მათ სახელზე აღრიცხვა. (პ. 2.2) ადვოკატი განმარტავს,

,,ლ. ჯ., ნ. ჯ.-ის დედა, იყო ჩემი შვილების მასწავლებელი. მე უანგაროდ დავინტერესდი და მოვაგროვე დოკუმენტები: გარდაცვალების მოწმობები, ამოვიღე საჯარო რეესტრიდან საინვენტარიზაციო გეგმა, ცნობა დახასიათება, გავაკეთებინე აზომვითი ნახაზები, ამოვიღე 1985 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება არქივიდან“. (პ. 2.3) ადვოკატის განცხადებით, საბუთების შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ც. მ.-სათვის საქმე არაპერსპექტიული იყო და 700 ლარი დაუბრუნა ც. მ.-ს. ადვოკატის 2011 წლის 4 აპრილის დამატებითი ახსნა–განმარტების თანახმად, მას ჯერ ნ. ჯ.-მ მიმართა, ვინაიდან მისი დედა ლ. ჯ. იყო მისი (ადვოკატის) შვილების მასწავლებელი, უანგაროდ გაუწია კონსულტაცია. ნ. ჯ.-მ უთხრა, რომ მის ბებიას დატოვებული ჰქონდა ანდერძი ქალბატონ ც. მ.-ისათვის და შემდეგ მასთან მოვიდნენ ერთად. ნ. ჯ.-მ და ც. მ.-მ წარმოუდგინეს ანდერძი, რომლის მიხედვითაც მამიდამ ქონება დაუტოვა ც. მ.-ს. ადვოკატმა მხარეებს აუხსნა, რომ საქმე რთული კატეგორიის იყო და წინასწარ არაფრის თქმა არ შეეძლო. ადვოკატი განმარტავს, რომ მასთან მხარეებს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაუფორმებიათ. ადვოკატის განმარტებით, რიგი სამართლებრივი დოკუმენტების მოძიებაში დაეხმარა მხარეებს და საქმის სირთულის თაობაზე ახსნა–განმარტება მისცა.

7.2.5 წინააღმდეგობრივია ადვოკატის განმარტება ც. მ.-ის მიერ გადაცემული თანხის თაობაზეც. აცხადებს, რომ გადახდილი თანხა ნ. ჯ.-სთან ინახებოდა. (ახსნა-განმარტება პ. 2.10) განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ თანხა მომსახურებისთვის გადასცა მ. ო.-ს.(პ.2.18)

7.2.6 ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ც. მ.-სა და ლ. ბ.-ს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ასევე თანხა 700 ლარის ოდენობით მიიღო ადვოკატმა და შემდგომ თავად დააბრუნა იგი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება. (პ. 1.3 ; 1.4; 1.5; 1.6; 1.7)
2. ადვოკატის ახსნა–განმარტება(პ. 2.2; 2.4; 2.7-2.12)
3. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება განხილვის კოლეგიის სხდომაზე (პ. 2.17–2.19)
4. მოწმის ნ. ყ.-ის ახსნა-განმარტება (პ. 3.3–3.4)
5. მოწმის ე. მ.-ის ახსნა-განმარტება (პ. 5.4–5.5)
6. მოწმის შ. ბ.-ის ახსნა-განმარტება (პ. 4.2)

7.3 ადვოკატისათვის ა. ა.-ის მიერ ც. მ.-ის სახელზე შედგენილი საკუთრების მინდობილობის გადაცემის ფაქტი.

7.3.1 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს გადასცა ა. ა.-ის მიერ გაცემული საკუთრების მინდობილობა გადანდობის უფლებით. აღნიშნულს უარყოფს ადვოკატი. მისი განცხადებით ც. მ.-მ მხოლოდ ანდერძი წარმოადგინა.

7.3.2 ეთიკის კომისიას დადგენილად მიაჩნია ადვოკატისათვის ც. მ.-ის მიერ დოკუმენტის - მინდობილობა გადანდობის უფლებით - გადაცემის ფაქტი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება (პ. 1.3; 1.10; 1.12)
2. მოწმის ნ. ყ.-ის ახსნა–განმარტება (პ. 3.4)

7.4 ადვოკატის მიერ ც. მ.-ისათვის საბუთების დაბრუნებისა და საქმის არაპერსპექტიულობის შესახებ განმარტების მიცემის თარიღი.

7.4.1 ადვოკატი აცხადებს, რომ დოკუმენტები ნ. ჯ.-ს დაუბრუნა 2008 წლის თებერვლის თვეში და უთხრა თანხა უკან მიეცა მისი ნათესავისთვის, ასევე აცხადებს, რომ სანამ ც. მ.-ის მამიდა დაიღუპებოდა, იქამდე მას უკვე ყველაფერი დაბრუნებული ჰქონდა. განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატი ასევე აცხადებს, რომ ,,ნ. ჯ. როცა ვნახე, ვუთხარი ბებიის დასაფლავებაზე წასულიყო და დაებრუნებინა მისთვის ეს საბუთები.“ ეს გარემოება მოწმობს რომ ა. ა.-ის გარდაცვალებისას, ლ. ბ.-ს ც. მ.-სთვის საბუთები არ ჰქონდა დაბრუნებული. (პ. 2.12; 2.24;). ც. მ.-ის განმარტებით, საქმის არაპერსპექტიულობის მოტივით, ადვოკატმა მას საბუთები 2009 წლის ოქტომბრის თვეში დაუბრუნა (პ. 1.7)

ეთიკის კომისიას დადგენილად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ლ. ბ.-მ ც. მ.-ს დოკუმენტები დაუბრუნა 2009 წლის ივლისის თვის შემდეგ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება (პ. 1.7)
2. მოწმის ნ. ყ.-ის ახსნა–განმარტება (პ. 3.4)

8. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა–განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

9. სამართლებრივი შეფასება

9.1 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ბ.-მ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას დაარღვია შემდეგი მუხლები:

1) ,,ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტი ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“;

2) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

3) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მეოთხე ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

9.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი).

9.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან.

9.4 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ლ. ბ.-ის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ც. მ.-ს არ უწევდა საადვოკატო მომსახურებას და ამ საკითხთან დაკავშირებით, ითვალისწინებს ადვოკატის მიერ საქმის საპროცესო და განხილვის ეტაპზე გამოხატული წინააღმდეგობრივი მიდგომის არსებობას.

9.5 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ როგორც თავად ადვოკატის მიერ საპროცესო ეტაპზე წარმოდგენილი განმარტებიდან, ასევე შემდგომ - განხილვის ეტაპზე მოწმეთა ახსნა-განმარტებებიდან დგინდება ლ. ბ. წარმოადგენდა ც. მ.-ისა და ნ. ჯ.-

ის ინტერესებს უძრავი ქონების რეგისტრაციის საქმეში. აღნიშნული მოქმედების განსახორციელებლად ადვოკატმა მხარეებს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და წარმოადგენდა კლიენტებს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში. ადვოკატმა კლიენტების ინტერესების დასაცავად მოაწესრიგა დოკუმენტაცია. კერძოდ, ლ. ბ.-მ მოაგროვა გარდაცვალების მოწმობები, ამოიღო საჯარო რეესტრიდან საინვენტარიზაციო გეგმა, ცნობა-დახასიათება, გააკეთებინა აზომვითი ნახაზები, ამოიღო 1985 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება არქივიდან. ასევე მიიღო მომსახურების თანხა 700 ლარის ოდენობით, ხოლო ერთი წლის შემდეგ განუმარტა რა ც. მ.-ს, რომ საქმე უპერსპექტივო იყო, თანხა საბუთებთან ერთად დაუბრუნა.

9.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ლ. ბ.-სა და ც. მ.-ს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

9.7 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი მომსახურებას ახორციელებდა ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე.

9.8 ეთიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობაზე, რადგან მოცემულ შემთხვევაში საქმის არაპერსპექტიულობის თაობაზე კლიენტისათვის ინფორმაციის არადროულმა მიწოდებამ, მძიმე ზიანი მიაყენა კლიენტს.

9.9 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე.

9.10 ეთიკის კომისიის აზრით, ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, ის ზედმიწევნით ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

9.11 ეთიკის კომისიის შეფასებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქმის არაპერსპექტიულობის თაობაზე ინფორმაციის დროულად მიწოდება, მით უფრო, მაშინ როდესაც კლიენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე სამართლებრივი მოქმედების განხორცილება შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ვადების გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ მოახდენს საკუთარი უფლებების რეალიზაციას.

9.12 ეთიკის კომისიის შეფასებით, მართალია ადვოკატმა ც. მ.-ს მიაწოდა ინფორმაცია საქმის უპერსპექტივობის თაობაზე, მაგრამ ეს მოხდა არაგონივრულად დიდი დროის გასვლის შემდეგ, კერძოდ, ამ პერიოდისათვის გასული იყო კლიენტის უფლების რეალიზაციის ვადები, შესაბამისად ლ. ბ.-ის ქმედება წარმოადგენს კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის დროულად მიწოდების ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას.

9.13 ეთიკის კომისიის აღნიშნავს, რომ კლიენტისათვის საქმის არაპერსპექტიულობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და ამ საფუძვლით მასთან ურთიერთობის შეწყვეტა უნდა მოხდეს ისე, რომ კლიენტს ადვოკატმა დაუტოვოს იმის შესაძლებლობა, რომ ყოველგვარი ზიანის გარეშე სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართოს სხვა ადვოკატს.

9.14 მოცემულ შემთხვევაში ლ. ბ.-მ ისეთ დროს მიაწოდა ც. მ.-ს ინფორმაცია საქმის უპერსპექტივობის თაობაზე და შეწყვიტა მასთან ურთიერთობა, რომ მას აღარ დაუტოვა შესაძლებლობა ყოველგვარი ზიანის გარეშე მიემართა სხვა ადვოკატისათვის.

9.15 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მინდობილობა გადანდობის უფლების ძალას ჰკარგავდა ა. ა.-ის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო ანდერძის საფუძველზე სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ, ც. მ.-ს ექმნებოდა საფრთხე გამხდარიყო უძრავი ქონების თანამესაკუთრე. ადვოკატის იმ განმარტების გათვალისწინებითაც, რომ უძრავი ქონება ირიცხებოდა ვინმე ი. გ.-ის სახელზე, რომელიც არავითარ კავშირში არ იყო ა. ა.-ის ოჯახთან და შესაბამისად, უპერსპექტივო იყო ც. მ.-ის მოთხოვნის რეალიზაცია, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კლიენტის არინფორმირებულობამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში და შემდგომ საქმის უპერსპექტივობის მოტივით, ადვოკატის მიერ მომსახურებაზე უარის თქმამ, წარმოშვა კლიენტის გონივრული ეჭვი, რომ მის მიერ ადვოკატისათვის განდობილი ინფორმაცია (გადაცემული დოკუმენტაცია) გამოყენებული იქნა კლიენტისავე საწინააღმდეგოდ და სხვა პირის (ამ შემთხვევაში ნ. ჯ.-ის) ინტერესების სასარგებლოდ.

9.16 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი მომსახურებას ეწეოდა ორი კლიენტის სასარგებლოდ მათი ინტერესის საერთო ობიექტის - უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების თანაბარწილად რეგისტრაციის მიზნით. როდესაც ნ. ჯ.-მ ადვოკატს უარი უთხრა საადვოკატო მომსახურებაზე და გამოართვა მას საკუთარი დოკუმენტაცია, ადვოკატმა აღნიშნული აცნობა მეორე კლიენტს ც. მ.-ის მხოლოდ მაშინ, როდესაც ნ. ჯ.-ს უკვე რეგისტრირებული ჰქონდა საკუთრების უფლება მთლიან უძრავ ქონებაზე. ამასთან, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 დეკემბრის საქმე # 3/4504-10

გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სადაც მოსარჩელე ც. მ.-ის მოთხოვნას წარმოადგენდა საჯარო რეესტრში ნ. ჯ.-ის საკუთრების უფლების რეგისტაციის ბათილად ცნობა, გადაწყვეტილების გამოცხადების ეტაპზე ლ. ბ. გამოცხადდა, როგორც მოპასუხე მხარის რწმუნებული პირი.

9.17 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი, როდესაც დროულად არ მიაწოდა თავის მეორე კლიენტს ინფორმაცია, პირველი კლიენტის მიერ მისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე უარის თქმის შესახებ და როდესაც 2011 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე ყოფილი კლიენტის სარჩელის გამო გამართულ სასამართლო სხდომაზე გადაწყვეტილების გამოცხადების ეტაპზე გამოცხადდა, როგორც პირველი კლიენტის რწმუნებული პირი.

9.18 ეთიკის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში.

9.19 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

9.20 მოცემულ შემთხვევაში ერთის მხრივ, ადვოკატ ლ. ბ.-ს გააჩნდა კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვის ვალდებულებები ც. მ.-ის, როგორც არსებული კლიენტის მიმართ, სანამ მასთან ურთიერთობას შეწყვეტდა, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო სხდომაზე ნ. ჯ.-ის რწმუნებული პირის სახით გამოცხადებისას იგივე ვალდებულებები ეკისრებოდა მისი, როგორც ყოფილი კლიენტის მიმართ.

9.21 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ლ. ბ.-ს არ განუხორციელებია.

9.22 ეთიკის კომისიამ საქმე # 015/10 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა უნდა თავი

აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი.“

9.23 საპროცესო კოლეგიამ გაითვალისწინა ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისათვის მიღებული ქცევის წესები, რომლის 3.2.2 მუხლი განსაზღვრავს: ,,ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს ყველა კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელება, რომელთა ინტერესებს შორისაც არსებობს კონფლიქტი ან როდესაც ეჭვქვეშ დგება კლიენტის ნდობა ადვოკატის მიმართ.“

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ პუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტითა და მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის; 33-ე და 35-ე მუხლებით გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ლ. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

3. ადვოკატ ლ. ბ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კახაბერ წერეთელი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/